ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს
2024 წლის 4 ივლისის სხდომის
ოქმი # 5

სხდომას ფაკულტეტის საბჭოს 35 წევრიდან ესწრებოდა 23 წევრი

დღის წესრიგი:

1. ინტერდისცილინური მიმართულებიდან ფაკულტეტის საბჭოს წევრის დამტკიცება
2. ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციებიის მიმართულებიდან ფაკულტეტის საბჭოს წევრის დამტკიცება
3. პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებიდან ფაკულტეტის საბჭოს წევრის დამტკიცება
4. საატესტაციო კომისიის დამტკიცება
5. ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების მეოთხე სემესტრის სტუდენტის, თათია იაშაღაშვილისთვის სტიპენდიის გაცემის საკითხი
6. სადისერტაციო თემების სათაურებისა და ხელმძღვანელების დამტკიცება
7. პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნინო მაისურაძის დისერტაციის დაცვის კომისიისა და რეცენზენტების დამტკიცება
8. პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ გიორგი გოგსაძის დისერტაციის დაცვის კომისიისა და რეცენზენტების დამტკიცება
9. სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დოქტორანტ თემურ გუგუშვილის დისერტაციის დაცვის თარიღის განსაზღვრა
10. მაგისტრატურაში მაგისტრანტთა მიერ საბუთების შევსებისას შემოსახაზი პროგრამების რაოდენობის განსაზღვრა
11. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის - „ეროვნული უსაფრთხოება, დემოგრაფიული პოლიტიკა და მიგრაციები“, სათაურის კორექტირების შესახებ. პროგრამების განმავითარებელი კომიტეტების დამტკიცება
12. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და შეფასების კომიტეტების დამტკიცება
13. ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში
14. ფაკულტეტის საბჭოს სახელზე შემოსული სოციალური მუშაობის სტუდენტების განცხადება პლაგიატის თემასთან დაკავშირებით

მოისმინეს 1. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია ინტერდისცილინური მიმართულებიდან ფაკულტეტის საბჭოს წევრის არჩევის შესახებ. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადის გასვლის გამო ასოცირებულ პროფესორ თეონა მატარაძეს შეუწყდა ფაკულტეტის საბჭოს წევრის სტატუსი. შესაბამისად, ინტერდისციპლინურ მიმართულებაზე გამოცხადდა საბჭოს წევრის არჩევნები. 16 აპრილს ჩატარდა არჩევნები, რომლის შედეგების მიხედვით, ფაკულტეტის საბჭოს წევრად კვლავ არჩეულ იქნა ასოცირებული პროფესორი თეონა მატარაძე.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა თ. დოლბაიამ, ასოცირებულმა პროფესომა ნ. ტალახაძემ.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის საბჭოს წევრად ინტერდისციპლინური მიმართულებიდან ასოცირებული პროფესორი თეონა მატარაძე.

მოისმინეს 2. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებიდან ფაკულტეტის საბჭოს წევრის არჩევის შესახებ. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადის გასვლის გამო, ასოცირებულ პროფესორ ხათუნა მაისაშვილს შეუწყდა ფაკულტეტის საბჭოს წევრის სტატუსი. შესაბამისად, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებაზე გამოცხადდა საბჭოს წევრის არჩევნები. 16 აპრილს ჩატარდა არჩევნები, რომლის შედეგების მიხედვით, ფაკულტეტის საბჭოს წევრად კვლავ არჩეულ იქნა ასოცირებული პროფესორი ხათუნა მაისაშვილი.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა მ. შამილიშვილმა, ასოცირებულმა პროფესომა ნ. ჭალაგანიძემ.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის საბჭოს წევრად ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებიდან ასოცირებული პროფესორი ხათუნა მაისაშვილი.

მოისმინეს 3. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებიდან ფაკულტეტის საბჭოს წევრის არჩევის შესახებ. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადის გასვლის გამო ასოცირებულ პროფესორ ზვიად აბაშიძეს შეუწყდა ფაკულტეტის საბჭოს წევრის სტატუსი. შესაბამისად, პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებაზე გამოცხადდა საბჭოს წევრის არჩევნები. 2 ივნისს ჩატარდა არჩევნები, რომლის შედეგების მიხედვით, ფაკულტეტის საბჭოს წევრად კვლავ არჩეულ იქნა ასოცირებული პროფესორი ზვიად აბაშიძე.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა მ. მაცაბერიძემ.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის საბჭოს წევრად პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებიდან ასოცირებული პროფესორი ზვიად აბაშიძე

მოისმინეს 4. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საჭირო იყო ატესტაციის კომისიაში ცვლილების შეტანა, კერძოდ რეგულაციებიდან გამომდინარე, საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე უნდა იყოს ფაკულტეტის დეკანი. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს სთხოვა განეხილათ საატესტაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე:

სალომე დუნდუა, ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი

საატესტაციო კომისიის წევრები:

თამარ დოლბაია- საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი

ალექსანდრე კუხიანიძე–პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი;

მანანა შამილიშვილი– ჟურნალისტიკის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი, დეკანის მოადგილე;

ამირან ბერძენიშვილი – სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;

ფიქრია ასანიშვილი - საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი.

რევაზ ჯორბენაძე- ინტერდისციპლინური მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;

ნათელა მონიავა - ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის მდივანი.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ზ. დავითაშვილმა, ასოცირებულმა პროფესორმა მ. წერეთელმა

დაადგინეს: დამტკიცდეს საატესტაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით

კომისიის თავმჯდომარე: სალომე დუნდუა, ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი

საატესტაციო კომისიის წევრები: თამარ დოლბაია - პროფესორი, საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

ალექსანდრე კუხიანიძე– პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი;

მანანა შამილიშვილი– ჟურნალისტიკის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი, დეკანის მოადგილე;

ამირანბერძენიშვილი – სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელი პროფესორი;

ფიქრია ასანიშვილი - საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;

რევაზ ჯორბენაძე- ინტერდისციპლინური მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;

ნათელა მონიავა - ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის მდივანი.

მოისმინეს: 5. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია გაზაფხულის სემესტრში ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისთვის სახელმწიფო სტიპენდიების გაცემისას დაფიქსირებული შემთხვევის შესახებ. ს. დუნდუას ინფორმაციით, სახელმწიფო სტიპენდიის ფარგლებში ფაკულტეტისთვის გამოყოფილი იყო 146 ადგილი. დადგენილი წესით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მეოთხე სემესტრის სტუდენტ თათია იაშაღაშვილსა და ამავე მიმართულების მერვე სემესტრის სტუდენტ ნინო კვარაცხელიას აღმოაჩნდათ თანაბარი ქულები - 96.50, რის შედეგადაც ისინი იყოფდნენ 146-ე და 147-ე ადგილებს. იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფო სტიპენდია უნდა გაცემულიყო 146 სტუდენტზე და, შესაბამისად, 147 სტუდენტის დაფინანსება ვერ მოხდებოდა, სასტიპენდიო კომისიამ მოცემულ ორ სტუდენტს შორის უპირატესობის მისანიჭებლად გამოიყენა დამატებითი კრიტერიუმი - საერთო საშუალო ქულა. თათია იაშაღაშვილს საერთო საშუალო ქულა ჰქონდა 88.61, ხოლო ნინო კვარაცხელიას კი - 92.9. მოცემული მაჩვენებლის მიხედვით, სახელმწიფო სტიპენდია მიენიჭა და 146-ე ადგილზე გავიდა ნინო კვარაცხელია. იქიდან გამომდინარე, რომ სტიპენდიის გაცემის წესის საფუძველზე ორივე სტუდენტის მაჩვენებლები თანაბარი იყო და კომისიამ მხოლოდ დამატებითი კრიტერიუმის შემოტანის საფუძველზე გამოავლინა გამარჯვებული სტუდენტი, ს. დუნდუამ მიმართა საბჭოს წევრებს წინადადებით, ემსჯელათ ფაკულტეტის ბიუჯეტიდან სტიპენდიის წესით განსაზღვრული თანხის ოდენობით თათია იაშაღაშვილის დაფინანსებაზე.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ზ. დავითაშვილმა, ასოცირებულმა პროფესორებმა მ. წერეთელმა, ნ დურგლიშვილმა.

დაადგინეს: ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მეოთხე სემესტრის სტუდენტ თათია იაშაღაშვილისთვის ფაკულტეტის ბიუჯეტის შესაბამისი მუხლიდან გაიცეს ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისთვის სახელმწიფო სტიპენდიის ფარგლებში გათვალისიწინებული ოდენობის თანხა.

მოისმინეს 6. ს. დუნდუამ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დასამტკიცებელი იყო რამდენიმე სადოქტორო ნაშრომის სათაური და ხელმძღვანელები, ასევე დასაზუსტებელი იყო რამდენიმე დოქტორანტის თემის სათაური.

თემის სათაურის დაზუსტება

1. პოლიტიკის მეცნიერების მე-8 სემესტრის დოქტორანტ სალომე კანდელაკის (ხელმძღვანელი პროფესორი კ. კაკაჩია) სადისტერაციო თეზისის დაზუსტება. ძველი სათაური: „მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ძალაუფლებრივი ინტერაქციის გავლენა საქართველოს, უკრაინის და მოლდოვის დემოკრატიზაციის პროცესზე“ დაზუსტდეს შემდეგი სახით: “მართლმადიდებელ ეკლესიებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ძალაუფლებრივი ინტერაქციის გავლენა საქართველოს, უკრაინის და მოლდოვის დემოკრატიზაციის და ევროპეიზაციის პროცესებზე“
2. ურბანისტიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნათია კეკენაძის სადისერტაციო თემის სათაურის პუნქტუაციური კორექტირება: „სივრცითი სამართლიანობა და ქალაქ თბილისის ურბანულ დაგეგმარებაში მოქალაქეების პოლიტიკური მონაწილეობის საკითხი“, დაზუსტდეს შემდეგი სახით: „სივრცითი სამართლიანობა: ქალაქ თბილისის ურბანულ დაგეგმარებაში მოქალაქეების პოლიტიკური მონაწილეობის საკითხი“.
3. საერთაშორისო ურთიერთობის სადოქტორო პროგრამის მე-6 სემესტრის დოქტორანტ გიორგი კელაპტრიშვილის (ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ნ. სამხარაძე) სადისერტაციო თეზისის დაზუსტება: ძველი სათაური „რუსეთის საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე მოქმედი შიდა და გარე ფაქტორების ანალიზი: სამხრეთ კავკასიის შემთხვევა“ დაზუსტდეს შემდეგი სახით „რუსეთის საგარეო პოლიტიკის ანალიზი სამხრეთ კავკასიაში: მთიანი ყარაბაღის შემთხვევა“

თემის შეცვლა

1. მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის მე-4 სემესტრის დოქტორანტ მარიამ სხილაძის (ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ხ. მაისაშვილი) სადისტერაციო თეზისის შეცვლა: ძველი სათაური “რუსული პროპაგანდისტული და მანიპულაციური დისკურსი უახლეს ქართულ მედიაში ომისა და კრიზისული ვითარების რეპრეზენტაციისას” შეიცვალოს შემდეგი თემით: “მანიპულაციური ინსტრუმენტები (შიში, საფრთხე) როგორც პროპაგანდის გამაძლიერებელი ფაქტორები”
2. მეოთხე სემესტრის კონფლიქტოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ლალი დევიძის სადისერტაციო თეზისის შეცვლა (ხელმძღვანელი პროფესორი გ. მაღრაძე). ძველი თემა: „დისკუსიები ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებში - 1997-1998 წლებში’; ახალი თემა „საქართველოში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მექანიზმები 1990-2007 წლებში (ცხინვალის რეგიონი)“

მეორე ხელმძღვანელის დამტკიცება

1. კონფლიქტოლოგიის მეშვიდე სემესტრის დოქტორანტ თამარ კვანტალიანის სადისერტაციო ნაშრომის „კულტურა, როგორც იდეოლოგიური ზემოქმედების საშუალება ცივი ომის დროს (ხელმძღვანელი პროფესორი რ. ჯორბენაძე) მეორე ხელმძღვანელად თავისუფალი უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორის, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის მზია ჩიხრაძის დამტკიცება

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ი. კაჭკაჭიშვილმა, მ. მაცაბერიძემ

დაადგინეს: დამტკიცდეს სადისერტაციო თემების სათაურები და ხელმძღვანელები:

1. პოლიტიკის მეცნიერების მე-8 სემესტრის დოქტორანტ სალომე კანდელაკის სადისტერაციო თეზისი “მართლმადიდებელ ეკლესიებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ძალაუფლებრივი

ინტერაქციის გავლენა საქართველოს, უკრაინის და მოლდოვის დემოკრატიზაციის და ევროპეიზაციის პროცესებზე“

2. ურბანისტიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნათია კეკენაძის სადისერტაციო თეზისი: „სივრცითი სამართლიანობა: ქალაქ თბილისის ურბანულ დაგეგმარებაში მოქალაქეების პოლიტიკური მონაწილეობის საკითხი“.

3. საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის მე-6 სემესტრის დოქტორანტ გიორგი კელაპტრიშვილის თეზისი: „რუსეთის საგარეო პოლიტიკის ანალიზი სამხრეთ კავკასიაში:მთიანიყარაბაღის შემთხვევა“

4. მასობრივი კომუნიკაციის მე-4 სემესტრის დოქტორანტ მარიამ სხილაძის სადისტერაციო თეზისი “მანიპულაციური ინსტრუმენტები (შიში, საფრთხე) როგორც პროპაგანდის გამაძლიერებელი ფაქტორები”

5. მეოთხე სემესტრის კონფლიქტოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ლალი დევიძის სადისერტაციო თეზისი „საქართველოში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მექანიზმები 1990-2007 წლებში (ცხინვალის რეგიონი)“

6. კონფლიქტოლოგიის სადოქტორო პროგრამის მეშვიდე სემესტრის დოქტორანტ თამარ კვანტალიანის სადისერტაციო ნაშრომის „კულტურა, როგორც იდეოლოგიური ზემოქმედების საშუალება ცივი ომის დროს“ მეორე ხელმძღვანელად თავისუფალი უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი მზია ჩიხრაძე.

მოისმინეს 7: ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ განსასაზღვრი იყო პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნინო მაისურაძის დისერტაციის დაცვის კომისია და რეცენზენტები.

დაცვის კომისია

1.თამარ ქარაია - პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

პუბლიკაცია: Dundua, S., Karaia, T., & Abashidze, Z. (2017). National narration and Politics of Memory in post-socialist Georgia. Slovak Journal of Political Sciences, 17(2).

2.ავთანდილ ტუკვაძე- პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

პუბლიკაცია:Tukvadze, A., Abzianidze, A., & Gelashvili, E. (2023). CULTURAL ELITE: AN ACTOR THE FORMATION OF NATIONAL-POLITICAL IDENTITY. Georgian Scientists, 5(1), 274-288.

3.ზვიად აბაშიძე - პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

პუბლიკაცია: Abashidze, Z. (2021). A Political Discourse on Nation and Nation-Building in a Post-Communist State: The Case of Georgia Under Zviad Gamsakhurdia. European Journal of Transformation Studies, 9(2), 40-51.

4. ზურაბ დავითაშვილი - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

პუბლიკაცია: Davitashvili, Z. (2022). Nationalism as an Obstacle to Conflict Resolution and Peace Building Processes in Georgia. International Scientific Journal" The Caucasus and the World", (26).

5. დიმიტრი შველიძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

პუბლიკაცია: შველიძე, დ (2023). ქართველი ერის შესახებ ანუ თანატოსის სინდრომი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომებ. პოლემიკა.

6. მანანა დარჩაშვილი - ისტორიის მეცნიერების დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის პროფესორი
   პუბლიკაცია: Darchashvili, M. (2020). Publications of Mikhako Tsereteli on the National Issue before his Fundamental Paper" Nation and Humanity". Politics/პოლიტიკა.
7. მალხაზ თორია - ისტორიის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
   პუბლიკაცია: Jones, S. F., & Toria, M. (2021). Rethinking Memory Sites and Symbolic Realms of Georgian National Identity. Caucasus Survey, 9(3), 211-219

რეცენზენტები

1. ირაკლი ჩხაიძე - კულტურის კვლევათა დოქტორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
   პუბლიკაცია: Chkhaidze, I. (2009). GEORGIAN NATIONAL PROJECT IN THE CONTEXT OF ETHNIC AND CIVIC NATIONALISMS (THE BEGINNING OF THE POST-SOVIET PERIOD). civilizaciuri Ziebani CIVILIZATION RESEARCHES, 62.
2. ოთარ ჯანელიძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი
   პუბლიკაცია: Janelidze, O. Vorontsov's Rule in Georgia in Terms of" Soft Power" Policy.
3. კრისტოფერ ბერგლუნდი (Christofer Berglund) - პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, მალმოს უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების ასოცირებული პროფესორი
   პუბლიკაცია: Berglund, C. (2016). “Forward to David the Builder!” Georgia's (re) turn to language-centered nationalism. Nationalities Papers, 44(4), 522-542.

აზრი გამოთქვეს: ასოცირებულმა პროფესორებმ: ზ. აბაშიძემ, მ. წერეთელმა

დაადგინეს: პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნინო მაისურაძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია და რეცენზენტები განისაზღვროს შემდეგი სახით:

დაცვის კომისია

1.თამარ ქარაია - პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
2.ავთანდილ ტუკვაძე- პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
3.ზვიად აბაშიძე - პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
4. ზურაბ დავითაშვილი - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
5. დიმიტრი შველიძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
6. მანანა დარჩაშვილი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის პროფესორი
7. მალხაზ თორია - ისტორიის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

რეცენზენტები

1. ირაკლი ჩხაიძე - კულტურის კვლევათა დოქტორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
2. ოთარ ჯანელიძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი
3. კრისტოფერ ბერგლუნდი (Christofer Berglund) - პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, მალმოს უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების ასოცირებული პროფესორი

მოისმინეს 8: ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ განსასაზღვრი იყო პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ გიორგი გოგსაძის დისერტაციის დაცვის კომისია და რეცენზენტები.

დაცვის კომისია

1. ზვიად აბაშიძე - პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
   პუბლიკაცია:Abashidze, Z. (2021). A Political Discourse on Nation and Nation-Buildng in a Post-Communist State: The Case of Georgia Under Zviad Gamsakhurdia. European Journal of Transformation Studies, 9(2), 40-51.
2. ირაკლი ჩხაიძე - კულტურის კვლევების დოქტორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევების მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
   პუბლიკაცია: Chkhaidze, I. (2022). THE BEGINNINGS OF NATIONAL POPULISM IN POST- SOVIET GEORGIA. HISTORY, ARCHAEOLOGY, ETHNOLOGY, (VII), 487-499.
3. ავთანდილ ტუკვაძე - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
   პუბლიკაცია: Tukvadze, A., Abzianidze, A., Ubilava, I., & Gelashvili, H. (2021). 2018 PRESIDENTIAL ELECTIONS IN GEORGIA (ELECTIONS WITHOUT A LEADER). Georgian Scientists, 3(3), 18-35.
4. ვალერიან დოლიძე - ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
   პუბლიკაცია: Valerian, D. (2005). Political parties and party development in Georgia. Central Asia and the Caucasus, (2 (32)), 49-60.

5.დავით აფრასიძე - ფილოსოფიის დოქტორი პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით, ილიას სახელმწიფო უნვიერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი;
   პუბლიკაცია; Aprasidze, D., & Siroky, D. S. (2020). Technocratic populism in hybrid regimes: Georgia on my mind and in my pocket. Politics and Governance, 8(4), 580-589.

6. ბაკურ კვაშილავა - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი;
   პუბლიკაცია: Barkaia, Z., & Kvashilava, B. (2020). Development of programs of Georgian political parties (2008-2016). The political landscape of georgia, 171.
7. ეკა დარბაიძე - პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
   პუბლიკაცია: Darbaidze, E. (2018). Increasing women's political participation in Georgia. Ideology and Politics, 2(10), 30-56.

რეცენზენტები

1. გიორგი მელიქიძე - პოლიტიკის მეცნიერებისა დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასისტენტ პროფესორი;

პუბლიკაცია: Melikidze, G. (2016). Weak Institutionalization of Party System: Qualitative Research of Georgian Party System. In Țările post-sovietice între UE şi Federația Rusă–analiza circumstanțelor specifice şi tendințelor politice (pp. 163-170).

2. ნიკა ჩიტაძე - პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;

   პუბლიკაცია:Chitadze, N. (2014). European integration as one of the main foreign policy and national security priorities of Georgia. Journal of Social Sciences, 3(2), 29-38.

3. დეივიდ სიროკი (David Siroky) - პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, ფლორიდის უნივერსიტეტის პროფესორი (აშშ).

   პუბლიკაცია: Aprasidze, D., & Siroky, D. S. (2020). Technocratic populism in hybrid regimes: Georgia on my mind and in my pocket. Politics and Governance, 8(4), 580-589.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ი. კაჭკაჭიშვილმა, მ. მაცაბერიძემ.

დაადგინეს: პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ გიორგი გოგსაძის დისერტაციის დაცვის კომისიად და რეცენზენტებად განისაზღვრონ:

დაცვის კომისია

1. ზვიად აბაშიძე - პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
2. ირაკლი ჩხაიძე - კულტურის კვლევების დოქტორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევების მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
3. ავთანდილ ტუკვაძე - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
4. ვალერიან დოლიძე - ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასოცირებული პროფესორი;

5.დავით აფრასიძე - ფილოსოფიის დოქტორი პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით, ილიას სახელმწიფო უნვიერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი;

6. ბაკურ კვაშილავა - პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი;
7. ეკა დარბაიძე - პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რეცენზენტები

1. გიორგი მელიქიძე - პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასისტენტ პროფესორი;
2. ნიკა ჩიტაძე - პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
3. დეივიდ სიროკი (David Siroky) - პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, ფლორიდის უნივერსიტეტის პროფესორი (აშშ).

მოისმინეს 9: ს. დუნდუამ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურმა მიიღო სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ თემურ გუგუშვილის სადისერტაციო ნაშრომის სამი რეცენზია. სამივე რეცენზია დადებითია, შესაბამისად, საჭირო იყო დისერტაციის დაცვის თარიღის განსაზღვრა. ს. დუნდუამ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს დაცვის თარიღად შესთავაზა 15 ივლისი, 15:00 საათი.

აზრი გამოთქვეს: ასოცირებულმა პროფესორმა ნ. დურგლიშვილმა.

დაადგინეს: სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ თემურ გუგუშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღად განისაზღვროს 15 ივლისი, 15:00 საათი.

მოისმინეს 10: ს. დუნდუამ ფაკულტეტის წევრებს მოახსენა, რომ საჭირო იყო მაგისტრატურაში მაგისტრანტთა მიერ საბუთების შევსებისას შემოსახაზი პროგრამების რაოდენობის განსაზღვრა. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელებთან აღნიშნული საკითხი გავლილია (ელექტრონული ფოსტით მიმოწერის გზით). სამგისტრო პროგრამის ხელმძღვანელობის უმრავლესობა ეთანხმება ფაკულტეტის ადმინისტრაციის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მაგისტრანტობის მსურველ კანდიდატთა მიერ განუსაზღვრელი რაოდენობით პროგრამების შემოხაზვა ართულებს ადმინისტრირებას და ასევე, ქმნის მცდარ მოლოდინებს სამგისტრო პროგრამებზე სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობის შესახებ. ამიტომ, გაჩნდა მოსაზრება, რომ მაგისტრატურაში სწავლის სურვილის გაგრძელების მქონე სტუდენტებს შეეძლოთ ორი სავარაუდო, მათთვის სასურველი პროგრამის შემოხაზვა.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა: ზ. დავითაშვილმა, თ. დოლბაიამ; ასოცირებულმა პროფესორებმა: მ. წერეთელმა, ნ. დურგლიშვილმა

დაადგინეს: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების სურვილის მქონე კანდიდატებს მიეცეთ შესაძლებლობა, შემოხაზონ მხოლოდ ორი სასურველი სამაგისტრო პროგრამა.

მოისმინეს: 11. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის - „ეროვნული უსაფრთხოება, დემოგრაფიული პოლიტიკა და მიგრაციები“, შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თამარ დოლბაიამ. მან დამსწრეთ აუწყა, რომ პროგრამა თსუ - ის აკადემიურ საბჭოზე დამტკიცდა დათქმით, სათაურის კორექტირების შესახებ

აზრი გამოთქვეს: ს. დუნდუამ, ვ. ლორთქიფანიძემ და სხვ.

დაადგინეს: პროგრამის სათაურში, სიტყვათა წყობის - „ეროვნული უსაფრთხოება“ შემდეგ, მძიმე შეიცვალოს ორი წერტილით, რაც შინაარსობრივად უფრო გამოკვეთს, რომ პროგრამაში, ეროვნული უსაფრთხოების მხოლოდ ისეთ კომპონენტებზეა აქცენტი, როგორიცაა დემოგრაფიის პოლიტიკა და მიგრაცია და დამტკიცდეს პროგრამის კორექტირებული სათაური შემდეგი სახით: „ეროვნული უსაფრთხოება: დემოგრაფიული პოლიტიკა და მიგრაციები“.

მოისმინეს 12: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და შეფასების კომიტეტების განახლების შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თამარ დოლბაიამ.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა მ. მაცაბერიძემ, ზ. დავითაშვილმა

დაადგინეს: დამტკიცდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და შეფასების კომიტეტები წარმოდგენილი სახით (ოქმს თან ერთვის დანართი 1-ის სახით)

მოისმინეს 13: ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში დამსწრეთ წარუდგინა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თამარ დოლბაიამ.

აზრი გამოთქვეს: ასოცირებულმა პროფესორებმა: ხ. მაისაშვილმა, ნ. დურგლიშვილმა

დაადგინეს: დამტკიცდეს ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში (ოქმს თან ერთვის დანართი 2 ის სახით)

მოისმინეს 14: ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დეკანის სახელზე შემოსულია სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის სტუდენტების: ქეთო ფოჩხუას, თათია მიქაიას, ელენე დევიძის, იზი ლომიძის და მარიამ ბახტაძის წერილი. წერილში სტუდენტები აღნიშნავენ, რომ კურსის ფარგლებში-სოციალური კვლევის მეთოდები 2, რომელსაც კითხულობს ასოცირებული პროფესორი თამარ მახარაძე, დაფიქსირდა აკადემიური თაღლითობის ფაქტი. კერძოდ, 15 ქულიანი დავალება, რომელიც აღნიშნული სტუდენტების ჯგუფმა გაუგზავნა სხვა ჯგუფის წევრებს, მანანა მაღალდაძეს და ლუკა სვანიძეს მხოლოდ და მხოლოდ ნიმუშისთვის, ამ უკანასკნელებმა ის გამოიყენეს, როგორც მათ მიერ შესრულებული დავალება. მ. მაღალდაძემ და ლ. სვანიძემ ეს ეთიკური დანაშაული აღიარეს, თუმცა ლექტორმა ორივე ჯგუფის ნაშრომი გაანულა. განცხადების შემომტანი ჯგუფის წევრები მიიჩნევენ, რომ მათთვის ნაშრომის განულება უსამართლობაა და სურთ საკითხის ეთიკის საბჭოზე გატანა. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნული საკითხის თსუ იურიდიულ სამსახურთან კონსულტაციის გავლის საფუძველზე, საჭიროა პროცედურის შემდეგი ფორმით წარმართვა. მოცემული წერილის საფუძველზე იკვეთება ორი ფაქტორი: პირველი ის, რომ სტუდენტთა ერთი ჯგუფის მიერ ადგილი ჰქონდა აკადემიური კუთხით არაკეთილსინდისიერ ქმედებას. მოცემული საკითხი უნდა განიხილოს ფაკულტეტის საბჭომ. მეორე მხრივ კი, შეფასების კუთხით ლექტორისადმი სტუდენტთა პრეტენზიას განიხილავს ეთიკის საბჭო. ასევე, ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ რეგულაციების შესაბამისად, მოცემულ სხდომას ესწრებოდნენ საგნის ლექტორი, განცხადების შემომტანი ჯგუფის წევრები და არაკეთილსინდისიერი აკადემიური ქმედების განმახორციელებელი ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი. ფაკულტეტის დეკანმა სთხოვა მხარეებს გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრება.

განცხადების შემომტანი ჯგუფის წარმომადგენელმა, სტუდენტმა ქ. ფოჩხუამ, დეტალურად ისაუბრა, იმ ფაქტზე, რომ მან მეგობარს თხოვნის საფუძველზე ნიმუშად გადაუგზავნა საკუთარი ჯგუფის მიერ შესრულებული საპრეზენტაციო დავალება. მეგობარმა და მისმა ჯგუფმა კი შემდგომში მოცემული დავალება გაუგზავნეს ლექტორს, რის შედეგადაც დაფიქსირდა პლაგიატი. ამის შემდეგ, ისაუბრა იმ ჯგუფის წარმომადგენელმა, რომლის მხრიდანაც განხორციელდა არაკეთილსინდისიერი აკადემიური ქმედება. სტუდენტმა აღიარა, რომ მათი მხრიდან ნამდვილად ჰქონდა არა მათ მიერ შესრულებული დავალების გამოყენების ფაქტს. საგნის ლექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა თ. მახარაძემ აღნიშნა, რომ მოცემული ორი ჯგუფის მიერ გამოგზავნილი დავალებები იყო სრულიად იდენტური და რომ დაუშვებელია მსგავსი ტიპის ქმედების ჩადენა და მისი აზრით მსგავსი ქმედებები საჭიროებს რეაგირებას.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა: ი. კაჭკაჭიშვილმა, ა. ბერძენიშვილმა, ზ. დავითაშვილმა; ასოცირებულმა პროფესორებმა: ნ. დურგლიშვილმა, თ. მატარაძემ, კ. შუბითიძემ, ნ. ფარცხალაძემ;

დაადგინეს: სტუდენტთა ჯგუფის წევრებს, რომლებმაც ჩაიდინეს არაკეთილსინდისიერი ქმედება აკადემიური კუთხით, მოცემული საგანი ჩაეთვალოს ჩავარდნილად. გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა ორმა პროფესორმა;

ასევე, საბჭოს წევრებმა საგნის ლექტორის მიმართ გასცეს რეკომენდაცია, რომ კარგი იქნებოდა თუკი საგნის ლექტორი პირველი ჯგუფის წევრებს, რომელთა ნაშრომის მითვისება სცადა

სტუდენტთა მეორე ჯგუფმა, რაიმე სახით დავალების აღდგენის საშუალებას მისცემდა. მოცემულ რეკომენდაციას მხარი არ დაუჭირა საბჭოს წევრმა ორმა პროფესორმა.

საფაკულტეტო საბჭოს თავმჯდომარე
ასოცირებული პროფესორი

საღომე დუნდუა

დანართი 1

ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების საგანმანათლებლო დარგობრივი კომიტეტის შემადგენლობა:

1. **სალომე დუნდუა** - ასოცირებული პროფესორი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
2. **თამარ დოლბაია** - პროფესორი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. **ნინო ქიმერიძე -** თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი; აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი;
4. **მანანა შამილიშვილი** - პროფესორი, კომიტეტის თავმჯდომარე, საბაკალავრო პროგრამის „ჟურნალისტიკა“ და სამაგისტრო პროგრამის „მედიის კვლევები“ ხელმძღვანელი; ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელი;
5. **მაია ტორაძე** - ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის მდივანი, საბაკალავრო პროგრამის „ჟურნალისტიკა“ ხელმძღვანელი, გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ მთავარი სპეციალისტი;
6. **ხათუნა მაისაშვილი** - ასოცირებული პროფესორი; ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ბილინგვური საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი; აკადემიური საბჭოს წევრი;
7. **მარი წერეთელი** - ასოცირებული პროფესორი**;** სამაგისტრო პროგრამის „მედიის კვლევები“ ხელმძღვანელი; აკადემიური საბჭოს წევრი;
8. **ნინო ჭალაგანიძე** - ასოცირებული პროფესორი; სამაგისტრო პროგრამის „ციფრული მედია და ინოვაციები“ და სადოქტორო პროგრამის „მასობრივი კომუნიკაცია“ ხელმძღვანელი; უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრი;
9. **ნათია კუპრაშვილი** - ასოცირებული პროფესორი; სამაგისტრო პროგრამის „ციფრული მედია და ინოვაციები“ და სადოქტორო პროგრამის „მასობრივი კომუნიკაცია“ ხელმძღვანელი;
10. **თინათინ მაჭარაშვილი -** ასისტენტ - პროფესორი;
11. **თამარ კირკიტაძე** - მაგისტრატურის მეორე სემესტრის სტუდენტი, სამაგისტრო პროგრამა: „მედიის კვლევები“;
12. **თამთა ჩხაიძე** - დოქტორანტურის სტუდენტი, სადოქტორო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაცია“;
13. **ლიანა მარქარიანი** - დოქტორანტურის სტუდენტი, სადოქტორო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაცია“, მოწვეული პედაგოგი;
14. **ბადრი კობიაშვილი** - კურსდამთავრებული, სამაგისტრო პროგრამა: „მედიის კვლევები“;

15. **ანა არევაძე** - კურსდამთავრებული, საბაკალავრო პროგრამა „ჟურნალისტიკა“, არასამთავრობო პროფესიული ორგანიზაცია „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“საბჭოს მდივანი;
16. **გიორგი გოგუა** - კურსდამთავრებული, საბაკალავრო პროგრამა „ჟურნალისტიკა“, „მედიაჩეკერის“ რედაქტორი;
17. **ლია ტოკლიკიშვილი** - საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამის „გამომძიებელი რეპორტიორის“ პროდიუსერი; დამსაქმებელი;
18. **ნინო ხელაძე** - ჟურნალისტი; კომპანია Talk TV განვითარების დირექტორი, დამსაქმებელი;
19. **ეკატერინე ტალახაძე** - საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიოს დილის გადაცემების პროდიუსერი, დამსაქმებელი.
20. **მარიამ ტყემალაძე** - ბაკალავრიატის IV სემესტრის სტუდენტი

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების საგანმანათლებლო დარგობრივი კომიტეტის შემადგენლობა:

1. **სალომე დუნდუა** – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;
2. **თამარ დოლბაია** – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
3. **ნინო ქიმერიძე** – თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების ხელმძღვანელი;
4. **გიორგი გოგსაძე** – პროფესორი, საზოგადოებრივი გეოგრაფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
5. **იოსებ სალუქვაძე** – პროფესორი, საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება;
6. **ვაჟა ლორთქიფანიძე** – აკადემიკოსი, პროფესორი, დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის და დემოგრაფიის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
7. **ნინო პავლიაშვილი** – ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი გეოგრაფიის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
8. **ვალერიან მელიქიძე** – ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება;
9. **რევაზ გაჩეჩილაძე** – აკადემიკოსი, პროფესორი, საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება;
10. **იოსებ ხელაშვილი** – პროფესორი, თსუ ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის ხელმძღვანელი;
11. **ინა ბოლოთაშვილი** - ბაკალავრიატის VI სემესტრის სტუდენტი
12. **ტატიანა სიჭინავა** – საზოგადოებრივი გეოგრაფიის დოქტორი, კურსდამთავრებული;
13. **მონიკა გაბელაია** – დოქტორანტი, დემოგრაფიის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა, დემოგრაფიის და მოსახლეობის გეოგრაფიის მაგისტრი;
14. **ნანა ბოლაშვილი** – დამსაქმებელი, გეოგრაფიის დოქტორი, თსუ გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი;
15. **დავით კერესელიძე** – დამსაქმებელი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, აზიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორი.

ინტერდისციპლინური მიმართულების საგანმანათლებლო დარგობრივი კომიტეტის შემადგენლობა:

1. **სალომე დუნდუა** - ასოცირებული პროფესორი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
2. **თამარ დოლბაია** - პროფესორი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
3. **ნინო ქიმერიძე** - თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი; აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი
4. **მარეხ დევიძე** - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
5. **გუგული მაღრაძე** - პროფესორი, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების, „კონფლიქტოლოგია“, ხელ-ი
6. **რევაზ ჯორბენაძე** - პროფესორი, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების, „კონფლიქტოლოგია“, ხელ-ი
7. **გია ჟორჟოლიანი** - პროფესორი
8. **მარინა მუსხელიშვილი** -პროფესორი, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია: პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება“, ხელ-ი;
9. **ნოდარ ბელქანია** - პროფესორი, „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება“ მაგისტრატურის და „ორგანიზაციული და პერსონალური გნვითარება“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების ხელ-ი
10. **მარიამ გერსამია** - პროფესორი, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები“, ხელ-ი; სოციალური მეცნიერებების ხარისხის ექსპერტი
11. **თეონა მატარაძე** - ასოცირებული პროფესორი
12. **მედეა ბადაშვილი** - ასოცირებული პროფესორი, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის, „გენდერის კვლევა“, ხელ-ი
13. **თამარ ჯახუა** - სტუდენტი, „კონფლიქტოლოგიის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა
14. **ნელი მარსაგიშვილი** - სტუდენტი, „გენდერის კვლევის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა
15. **ნინო პაქსაშვილი** - სტუდენტი, „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირების“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა
16. **მარიამ მთივლიშვილი** - სტუდენტი, „მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციების“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა
17. **თორნიკე ჩივაძე** - კურსდამთავრებული, „პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია: პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოების“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა
18. **ტარიელ (ტატო) ირემაძე** - კურსდამთავრებული (კონფლიქტების ანალიზის და მართვის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა); საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო - საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი
19. **მარიამ კანდელაკი** - კურსდამთავრებული, „გენდერის კვლევის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

20. **ინა შანავა** - (კონფლიქტების ანალიზის და მართვის მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები; PhD); საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სეუ), ასისტენტ-პროფესორი
21. **ანნა კარდანახიშვილი** - კურსდამთავრებული (ორგანიზაციის განვითარების და კონსულტირების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა); ორგანიზაციის განვითარების და ქოუჩინგის ასოციაცია
22. **ლია გიგაური** - შერიგების და რეინტეგრაციის მინისტრის მოადგილე; დამსაქმებელი (კონფლიქტოლოგიის მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები).
23. **თეონა ცხომელიძე** - მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრ „მედიახმის“ აღმასრულებელი დირექტორი, დამსაქმებელი;
24. **თამარ საბედაშვილი** - გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლის მოადგილე; UN Women, გაეროს ქალთა ორგანიზაცია საქართველოში, დამსაქმებელი.

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების საგანმანათლებლო დარგობრივი კომიტეტის შემადგენლობა:

1. **სალომე დუნდუა** - ასოცირებული პროფესორი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
2. **თამარ დოლბაია** - პროფესორი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. **ნინო ქიმერიძე** - თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი; აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი;
4. **მალხაზ მაცაბერიძე** - პროფესორი; პოლიტიკის მეცნიერების საბაკალვრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი;
5. **ალექსანდრე კუხიანიძე** - პროფესორი; საჯარო პოლიტიკისა და სახელმწიფო მართვის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
6. **ზვიად აბაშიძე** - ასოცირებული პროფესორი;
7. **თამარ ქარაია** - ასოცირებული პროფესორი;
8. **ზურაბ დავითაშვილი** - პროფესორი
9. **სანდრო ტაბატაძე** - თსუ ასისტენტ-პროფესორი;
10. **ნიკა გიგაური** - მაგისტრატურის კურსდამთავრებული, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი;
11. **ვლადიმერ ნაფეტვარიძე** - დოქტორანტურის კურსდამთავრებული;
12. **ლაშა მელაძე** - დამსაქმებელი, ააიპ „სექტორი - 3“;
13. **შოთა ნარსია** -თსუ დოქტორანტი, დამსაქმებელი, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების მკვლევარი.
14. **ლევან ბურდული** - ბაკალავრიატის IV სემესტრის სტუდენტი
15. **ნინო გოხელაშვილი** - მაგისტრატურის II სემესტრის სტუდენტი

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების საგანმანათლებლო დარგობრივი კომიტეტის შემადგენლობა:

1. **სალომე დუნდუა** - ასოცირებული პროფესორი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
2. **თამარ დოლბაია** - პროფესორი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. **ნინო ქიმერიძე -** თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი; აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი;
4. **კონსტანტინე შუბითიძე** - ასოცირებული პროფესორი
5. **ფიქრია ასანიშვილი** - ასოცირებული პროფესორი
6. **ზურაბ დავითაშვილი** - პროფესორი
7. **თორნიკე თურმანიძე** - პროფესორი
8. **ნინო კარანაია** - ბაკალავრიატის IV სემესტრის სტუდენტი
9. **მარიამ ჯეჯეია** - ბაკალავრიატის VI სემესტრის სტუდენტი
10. **ლუკა ბლუაშვილი** - MA სტუდენტი, II სემესტრი (BA კურსდამთავრებული)
11. **გიორგი ხაჩიძე** - კურსდამთავრებული, USAID სამოქალაქო ჩართულობის პროგრამა
12. **ნუცა ძანძავა** - კურსდამთავრებული, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო
13. **გიორგი კეკელიანი** - მოწვეული ლექტორი (დოქტორანტი), საგარეო საქმეთა სამინისტრო
14. **გიორგი ბადრიძე** - მოწვეული ლექტორი (დოქტორანტი), რონდელის ფონდი
15. **თამარ ურუშაძე** - NDI (ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი), დამსაქმებელი
16. **მარიამ მსხალაია** - პროექტების მართვისა და აკადემიური განვითარების მენეჯერი, Skillwill International, დამსაქმებელი.

სოციოლოგიის მიმართულების საგანმანათლებლო დარგობრივი კომიტეტის შემადგენლობა:

1. **სალომე დუნდუა** - ასოცირებული პროფესორი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
2. **თამარ დოლბაია** - პროფესორი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
3. **ნინო ქიმერიძე -** თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი; აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი
4. **იაგო კაჭკაჭიშვილი** - პროფესორი; სოციოლოგიის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი
5. **ამირან ბერძენიშვილი** - პროფესორი; მიმართულების ხელმძღვანელი კულტურისა და მედიის სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი
6. **ლია წულაძე** - ასოცირებული პროფესორი; კულტურისა და მედიის სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი
7. **ნინო დურგლიშვილი** - ასოცირებული პროფესორი
8. **ანა დიაკონიძე** - ასოცირებული პროფესორი
9. **ბექა ფაჩულია** - ბაკალავრიატის მესამე კურსის სტუდენტი
10. **ია ნადირაშვილი**- ბაკალავრიატის მესამე კურსის სტუდენტი
11. **მაგდა რუხაძე**- მეორე კურსის მაგისტრანტი IV სემესტრი
12. **ელენე ნამორაძე**- პირველი კურსის მაგისტრანტი II სემესტრი
13. **თამარ მეჭურჭლიშვილი** - BA, MA კურსდამთავრებული; ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი
14. **ლელა ჯავახიშვილი** - BA, MA კურსდამთავრებული; CSS, უმცროსი მკვლევარი
15. **თეკლა ჯამრულიძე -** BA, MA კურსდამთავრებული; კავსაკიის უნივერსიტეტი
16. **გიორგი შუბითიძე** - დოქტორანტი, თსუ-ს მოწვეული ლექტორი
17. **კობა თურმანიძე** - CRRC კავკასიის კვლევით რესურსების ცენტრი, დირექტორი; დამსაქმებელი
18. **რუსუდან თელია** - ACT Georgia, დირექტორი; დამსაქმებელი
19. **მერაბ ფაჩულია** - GORBI, დირექტორი; დამსაქმებელი
20. **პაატა შავიშვილი** - სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დირექტორის მოადგილე; დამსაქმებელი

სოციალური მუშაობის მიმართულების საგანმანათლებლო დარგობრივი კომიტეტის შემადგენლობა:

1. **სალომე დუნდუა** - ასოცირებული პროფესორი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
2. **თამარ დოლბაია** - პროფესორი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
3. **ნინო ქიმერიძე** - თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი; აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი
4. **ამირან ბერძენიშვილი** - პროფესორი; მიმართულების ხელმძღვანელი
5. **სალომე ნამიჭეიშვილი** - ასოცირებული პროფესორი; სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი
6. **ნინო შატბერაშვილი** - ასოცირებული პროფესორი; სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი
7. **თამარ მახარაძე** - ასოცირებული პროფესორი
8. **თინათინ წერეთელი** - BA სტუდენტი, VIII სემესტრი
9. **ანა უზნაძე** - BA სტუდენტი, VI სემესტრი
10. **ვერიკო მგალობლიშვილი** - MA სტუდენტი, IV სემესტრი (BA კურსდამთავრებული)
11. **ირმა ბებერაშვილი** - BA, MA კურსდამთავრებული; საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, სოციალური მუშაკი
12. **თამარ საუთიევა** - MA კურსდამთავრებული; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, სოციალური მუშაკი
13. **ნელი აკობია** - მაგისტრი; მოწვეული ლექტორი
14. **ია შეყრილაძე** - დოქტორი; მოწვეული ლექტორი; ილიაუნის ასოც. პროფესორი
15. **რუსუდან ასათიანი** - სოციალურ მუშაკთა ასოციაციის დირექტორი, დოქტორანტი, სოციალურ მუშაკთა დამსაქმებელი
16. **სალომე დანელია** - სოციალურ მუშაკთა კლუბის გამგეობის წევრი, დამსაქმებელი
17. **ელენე მარტაშვილი,** სახელმწიფოს ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მონიტორინგისა და პროექტების დიზაინის დეპარტამენტის პროფესიული ზედამხედველობისა და პროექტების დიზაინის

სამმართველოს უფროსი, სოციალური მუშაობის ბაკალავრი, სოციალურ მუშაკთა დამსაქმებელი

18. **მარინა შაღაშვილი,** ეს-ო-ეს ბავშვთა სოფლის ხელმღვანელი, სოციალური მუშაობის მაგისტრი, სოციალურ მუშაკთა დამსაქმებელი
19. **ქეთი მელიქაძე** - სოციალური პოლიტიკის პროგრამის ოფიცერი, გაეროს ბავშვთა ფონდი; მხარდამჭერი

დანართი: # 2

1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სოციალური მუშაობა“ (დადგენილება # 57/2011, დანართი # 38)

ცვლილება: სასწავლო კურსზე განმახორციელებელი პერსონალის დამატება

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსზე,“ სოციალური მუშაობის პრაქტიკის შესავალი (პრაქტიკა 1)“, დაემატოს მოწვეული ლექტორები გურანდა თეთრაძე და ირმა ბებერაშვილი.

საფუძველი : საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება

2. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ჟურნალისტიკა და მასკომუნიკაცია“ (რუსული კომპონენტებით), (დადგენილება # 57/2011, დანართი # 35)

ცვლილება: სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის შეცვლა

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსის „Этика и стандарты професиональной ответственности „ განმახორციელებელ პერსონალს დაემატოს მოწვეული ლექტორი მარიამ ასანიძე და ამოღებულ იქნეს ჯილდა ასათიანი

საფუძველი : საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება

3. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების საფაკულტეტო კურსები (დადგენილება 57/2011, დანართები: 34, 36,37, 38,40,41)

ცვლილება: სასწავლო კურსიდან ლექტორის ამოღება

ცვლილების აღწერა: საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსიდან, „სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები“ ამოღებულ იქნას ლექტორი დავით სიჭინავა

საფუძველი: სასწავლო კურსის განვითარება

4. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა: “საერთაშორისო ურთიერთობები“, (დადგენილება # 57/2011, დანართი # 41)

ცვლილება: სასწავლო კურსის შეფასების ფორმისა და ქულების ცვლილება

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსის, „განვითარებადი სამყაროს საერთაშორისო ურთიერთობები“, სილაბუსში განხორციელდა შეფასების ფორმისა და ქულების ცვლილება შემდეგნაირად: შუალედური გამოცდა გახდა - 20 ქულიანი, ხოლო დასკვნითი გამოცდა - 40 ქულიანი, სხვა კომპონენტები დარჩა უცვლელი.

საფუძველი: სასწავლო კურსის განვითარება

5. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა: „სოციოლოგია“, (დადგენილება # 57/2011, დანართი # 37)

ცვლილება: სასწავლო კურსების შეფასების ფორმისა და ქულების ცვლილება

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსების: „სოციოლოგიის შესავალი“, „სოციალური სივრცე და ურბანული განვითარება“, „პოსტმოდერნული სოციალური თეორიები“, „თანამედროვე სოციალური თეორიები 1“, შეფასების ფორმები და ქულები შეიცვალა შემდეგნაირად:

- აქტივობა - 10 ქულა
- შუალედური გამოცდა - 30 ქულა
- ქვიზი (ტესტირება) – 20 ქულა
- დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება

6. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა: „დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია“ (დადგენილება #57/’2011, დანართი # 219)

ცვლილება: სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის შეცვლა

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსებზე „ კომპიუტერული პროგრამები დემოგრაფიაში“ და „კომპიუტერული პროგრამები დემოგრაფიაში (პრაქტიკული)“ შეიცვლა ლექტორი და ნაცვლად ნიკოლოზ მაღლაკელიძისა, კურსებს გაუძღვება ასოცირებული პროფესორი ანზორ სახვაძე.

ცვლილება: სასწავლო კურსისთვის სემესტრის ერთჯერადად შეცვლა

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსი „კომპიუტერული პროგრამები დემოგრაფიაში“, ერთჯერადად გადმოტანილ იქნეს შემოდგომის სემესტრში.

საფუძველი : საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება

7. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა: „სოციალური მუშაობა“ (დადგენილება #№ 57/2011, #59)

ცვლილება: პროგრამის სტრუქტურის მოდიფიცირება

ცვლილების აღწერა: პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტებს გამოაკლდა 10 კრედიტი და გადავიდა თავისუფალ კრედიტებში, რამაც შეცვალა 120 კრედიტის (ECTS) გადანაწილება შემდეგნაირად:

- სავალდებულო სასწავლო კურსები: 55 კრედიტი
- არჩევითი სასწავლო კურსები: 25 კრედიტი
- სამაგისტრო ნაშრომი (სავალდებულო): 30 კრედიტი
- თავისუფალი სასწავლო კურსები: 10 კრედიტი

ცვლილების აღწერა: პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსებიდან ამოღებულ იქნა 2 კურსი: ჯანდაცვის პოლიტიკა (მოწვეული ლექტორი თენგიზ ვერულავა) და დარგობრივი ინგლისური სოციალურ მეცნიერებებში (სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამიდან, მოწვეული ლექტორი ნინო ბოლქვაძე)

საფუძველი: პროგრამის განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციისთვის ხელშეწყობა

8. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „კონფლიქტოლოგია“ (დადგენილება 57/2011, #№ 256, ყოფილი დანართები #233 და #44)

ცვლილება: სასწავლო კურსის სტატუსის შეცვლა

ცვლილების აღწერა: შეიცვალა სასწავლო კურსის, „სამაგისტრო კვლევის დიზაინი“ , სტატუსი და არჩევითის ნაცვლად, გახდა სავალდებულო.

ცვლილება: პროგრამის სტრუქტურის მოდიფიცირება

ცვლილების აღწერა: პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსის სტატუსის შეცვლამ, გამოიწვია სავალდებულო და არჩევითი კურსების თანაფარდობის შეცვლა და პროგრამის 120 კრედიტი (ECTS) განაწილდა შემდეგნაირად:

- სავალდებულო სასწავლო კურსები: 70 კრედიტი
- არჩევითი სასწავლო კურსები: 20 კრედიტი
- სამაგისტრო ნაშრომი (სავალდებულო): 30 კრედიტი

საფუძველი: აკრედიტაციის ექსპერტთა რჩევა; პროგრამის განვითარება.

9. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები:(დადგენილება # 57/2011, დანართები: #257, #252, #269, #1983, #199, #74,#75, #72, # 73,)

ცვლილება: სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის ცვლილება

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსის, „კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებებში - ემპირიული კვლევის მეთოდები“, სილაბუსიდან ლექტორ დავით სიჭინავას ამოღება და საკითხების, ნინო დურგლიშვილისთვის (ასოცირებული პროფესორი) გადაცემა

საფუძველი: სასწავლო კურსის განვითარება.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის დეკანს, ასოცირებულ
პროფესორ დეკანოზ
სოფიოს ლაფაჩის მიმართ მოქალაქეების
VI სემესტრის სტუდენტის თამარ [illegible]
(0200102535) 591033155

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის, სოციალური მუშაობის მიმართულების
სტუდენტები, ერთი წლის მიკარებ, ერეკლე
ლეონიძე, იგი ლოთობს და მარადიულ ნაბეღლებს, მაცნობეთ
რომ ბოლოს ფაკულტეტში - სოციალური ნავრევის მეთოდოლოგია,
ჩიბოლოსა ტიხულოლის ასისტენტული ნინოფერი ლაზარ
მეხეთაძე, ლეგიტიმურად აუდიტორიის თანხმობის გარეშე
ბინძილ 15 ტულუბი ლეკლეს, ჩიბოლოს ჩვენ ვეუბნებოდ
აუგზავნა სხვა ნაკუწის ნიგუთის სახელ, ანი ამბობენ
ჩიბოლოს თავიანთი ბესტიალური ლეკლეს და
აფეთქების ბესაბამის გარეშეთ. ასევე ეროვნული ლიტერატურა
ლიტერატურ ჩვენი ნაკუწის ლ ფეხოვნის ნიგუთს, ამგვარ
ბუხელავა ეს ასევე ლეკლეს ჩვენ ნაკუწს ამბობენ
ნაბეღლები ლ ვეთანხმებ, რომ ბოლოთანა ფაკულტეტის
ლეკლ ნიგუთის ლ ეთიკის სანქციებს.

ჩვენი ქმედების ნებისმიერი ინფორმაციული მოვიხილოთ, რომ ჩვენების ნებისმიერის გამოცდილებას ყოფილიყოს ან ავსებულ ითვალის სამედიცინო ამის დაკმაყოფილებულ. ქმედების ნებისმიერის უფლებამოსილებიდან ილინიჯნული ან ვალების გამოცდილებას სოფლების ქვეშ ა ყველის ბუნების ადგილის ან ეროვნული სოფლის ან მოსახლეობის საქმიან.

ამიტომ გადაწყვეტილება ილინიჯნული ნებადართულია.

ბესიკის ლეონიძე

02.07.2024

ნელი მოძღვრიშვილი

ქ. ...

ქ. ...

ქ. ...